# ინფორმაცია სახელმწიფო ვალის შესახებ

თბილისი

2019

# მთავრობის ვალი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მთავრობის ვალის ნაშთი 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენს 18 816.1 მლნ ლარს, მათ შორის „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალი, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა - 18 812.1 მლნ ლარს და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალის ნაშთი - 3.9 მლნ ლარს.

ამასთან, მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი, 15 265.5 მლნ ლარი, მთლიანი მთავრობის ვალის 81%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - პორტფელის საშუალო შეწონილი საკონტრაქტო ვადიანობა შეადგენს 22.0 წელს, საშუალო შეწონილი ვადიანობა დაფარვამდე შეადგენს დაახლოებით 8.1 წელს, ხოლო მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 2.15%-ს.

**მთავრობის ვალის სტრუქტურა 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით**




2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მთავრობის საგარეო ვალის პორტფელის 57% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე. საგარეო ვალის 36% SDR-შია დენომინირებული (ნასესხობის სპეციალური უფლება) მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და აზიის განვითარების ბანკის ფინანსური რესურსების დიდი წილის გამო.

სავალუტო სტრუქტურა




საპროცენტო განაკვეთის ტიპი




- *შენიშნა: ვალის ნაშთი არ მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის 48-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ვინაიდან აღნიშნულ მაჩვენებელზე არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია;*

# მთავრობის საგარეო ვალის სტრუქტურა - 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

| კრედიტორი | კრედიტის ვალუტა | ნაშთი ათასი აშშ დოლარი | ნაშთი ათასი ლარი | საპროცენტო განაკვეთი | საპროცენტო განაკვეთი 31.12.2018 | შეწონილი საპროცენტო განაკვეთი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ***მთვრობის საგარეო ვალი*** | | ***5 182 307*** | ***15 265 521*** | | | |
| **მრავალმხრივი კრედიტორები** | | **3 766 603** | **11 095 283** | | | |
| განვითარების საერთაშორისო ასოციაცია(WB - IDA) | SDR | 735 788 | 2 167 412 | Fixed | 0.75% | 0.106% |
| | | 240 527 | 708 521 | Fixed | 2.00% | 0.093% |
| | | 9 368 | 27 594 | Fixed | 2.15% | 0.004% |
| განვითარების საერთაშორისო ასოციაცია(WB - IBRD) | EUR | 101 402 | 298 699 | LIBOR + Variable Spread | 0.71% | 0.014% |
| | USD | 171 958 | 506 538 | | 2.50% | 0.083% |
| | | 45 551 | 134 179 | | 2.70% | 0.024% |
| | | 151 013 | 444 839 | | 2.90% | 0.085% |
| | | 127 063 | 374 290 | | 3.02% | 0.074% |
| | | 20 547 | 60 526 | | 3.29% | 0.013% |
| | | 47 332 | 139 425 | | 3.31% | 0.030% |
| | | 27 991 | 82 454 | | 3.33% | 0.018% |
| | | 31 485 | 92 746 | | 3.38% | 0.021% |
| | | 25 469 | 75 025 | | 3.44% | 0.017% |
| | | 120 000 | 353 484 | | 3.63% | 0.084% |
| | | 2 685 | 7 910 | | 3.64% | 0.002% |
| | | 25 937 | 76 403 | | 3.68% | 0.018% |
| სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) | SDR | 18 364 | 54 095 | Fixed | 0.75% | 0.003% |
| | | 10 301 | 30 343 | Fixed | 2.00% | 0.004% |
| | | 4 155 | 12 239 | (SDR LIBOR + IBRD Variable Spread)/2 | 1.15% | 0.001% |
| საერთაშორისო სავალუტო ფონდი (SBA ) | SDR | 20 525 | 60 461 | SDR Rate of Charge | 1.93% | 0.008% |
| ევროგაერთიანება (EU) | EUR | 11 041 | 32 523 | Fixed | 0.52% | 0.001% |
| | | 14 353 | 42 280 | Fixed | 1.16% | 0.003% |
| | | 16 561 | 48 785 | Fixed | 1.25% | 0.004% |
| ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD) | EUR | 112 315 | 330 848 | EURIBOR+ 1% | 0.77% | 0.017% |
| აზიის განვითარების ბანკი (ADB) | SDR | 62 863 | 185 177 | Fixed | 1.00% | 0.012% |
| | | 360 656 | 1 062 384 | | 1.50% | 0.104% |
| | | 41 623 | 122 608 | | 1.60% | 0.013% |
| | | 224 992 | 662 759 | | 2.00% | 0.087% |
| | EUR | 81 895 | 241 237 | EURIBOR + Fixed Spread | 0.42% | 0.007% |
| | USD | 70 820 | 208 616 | LIBOR + Fixed Spread | 2.60% | 0.036% |
| | | 45 312 | 133 477 | | 2.62% | 0.023% |
| | | 50 000 | 147 285 | | 2.68% | 0.026% |
| | | 38 974 | 114 806 | | 2.80% | 0.021% |
| | | 54 167 | 159 559 | | 2.97% | 0.031% |
| | | 14 000 | 41 240 | | 3.08% | 0.008% |
| | | 50 675 | 149 274 | | 3.23% | 0.032% |
| | | 9 439 | 27 804 | | 3.30% | 0.006% |
| | | 16 377 | 48 242 | | 3.33% | 0.011% |
| | | 25 560 | 75 291 | | 3.37% | 0.017% |
| აზიის ინფრასტრუქტურის განვითარების ბანკი (AIIB) | USD | 19 518 | 57 496 | LIBOR + Variable Spread | 4.08% | 0.015% |
| ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB) | EUR | 995 | 2 932 | LIBOR + Variable Spread | 0.21% | 0.000% |
| ევროპის საინვესტიციო ბანკი(EIB) | EUR | 9 221 | 27 162 | Fixed | 0.86% | 0.002% |
| | | 22 082 | 65 046 | | 0.87% | 0.004% |
| | | 11 041 | 32 523 | | 1.65% | 0.004% |
| | | 25 643 | 75 538 | | 1.69% | 0.008% |
| | | 22 082 | 65 046 | | 1.94% | 0.008% |
| | | 77 286 | 227 661 | EURIBOR+0.183% | 0.00% | 0.000% |
| | | 99 368 | 292 707 | EURIBOR+0.29% | 0.10% | 0.002% |
| | | 55 204 | 162 615 | EURIBOR+0.505% | 0.20% | 0.002% |
| | | 49 684 | 146 353 | EURIBOR + 0.75% | 0.33% | 0.003% |
| | | 3 312 | 9 757 | EURIBOR+0.75% | 0.51% | 0.000% |
| | | 82 301 | 242 433 | EURIBOR+0.81% | 0.52% | 0.008% |
| | | 10 703 | 31 529 | EURIBOR + 0.82% | 0.58% | 0.001% |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 39 077 | 115 110 | EURIBOR + 0.858% | 0.59% | 0.004% |
| **ორმხრივი კრედიტორები** | | **913 982** | **2 692 316** | | | |
| ავსტრია | EUR | 19 161 | 56 443 | Fixed | 1.00% | 0.004% |
| აზერბაიჯანი | USD | 6 874 | 20 247 | Fixed | 3.00% | 0.004% |
| თურქმენეთი | USD | 211 | 622 | Fixed | 4.00% | 0.000% |
| თურქეთი | USD | 13 209 | 38 910 | Fixed | 3.13% | 0.008% |
| ირანი | USD | 5 267 | 15 514 | Fixed | 3.00% | 0.003% |
| რუსეთი | USD | 53 772 | 158 397 | Fixed | 4.00% | 0.042% |
| სომხეთი | USD | 7 554 | 22 252 | Fixed | 3.00% | 0.004% |
| უზბეკეთი | USD | 120 | 353 | Fixed | 3.00% | 0.000% |
| უკრაინა | USD | 110 | 323 | Fixed | 3.00% | 0.000% |
| ყაზახეთი | USD | 14 421 | 42 480 | Fixed | 4.00% | 0.011% |
| ჩინეთი | CNY | 1 259 | 3 709 | Fixed | 0.00% | 0.000% |
| გერმანის (KfW) | EUR | 1 485 | 4 376 | EURIBOR+ 0.3% | 0.05% | 0.000% |
| | | 54 100 | 159 363 | EURIBOR+ 0.75% | 0.56% | 0.006% |
| | | 123 032 | 362 414 | Fixed | 0.75% | 0.018% |
| | | 17 883 | 52 677 | Fixed | 1.65% | 0.006% |
| | | 1 650 | 4 861 | Fixed | 1.90% | 0.001% |
| | | 31 466 | 92 688 | Fixed | 2.00% | 0.012% |
| | | 26 171 | 77 091 | Fixed | 2.20% | 0.011% |
| | | 13 009 | 38 321 | Fixed | 4.20% | 0.011% |
| | | 30 362 | 89 438 | Fixed | 5.70% | 0.033% |
| | | 11 042 | 32 526 | Fixed | 6.68% | 0.014% |
| იაპონია | JPY | 27 703 | 81 605 | Fixed | 0.01% | 0.000% |
| | | 144 972 | 427 044 | Fixed | 0.65% | 0.018% |
| | | 1 492 | 4 394 | Fixed | 1.30% | 0.000% |
| | | 25 276 | 74 455 | Fixed | 1.40% | 0.007% |
| | | 20 763 | 61 161 | Fixed | 2.30% | 0.009% |
| კუვეიტი | KWD | 492 | 1 449 | Fixed | 2.50% | 0.000% |
| | | 8 886 | 26 175 | Fixed | 3.00% | 0.005% |
| ნიდერლანდები | EUR | 134 | 395 | Fixed | 4.20% | 0.000% |
| | | 551 | 1 624 | Fixed | 5.10% | 0.001% |
| აშშ | USD | 191 | 564 | Fixed | 1.50% | 0.000% |
| | | 7 772 | 22 894 | Fixed | 2.00% | 0.003% |
| | | 4 586 | 13 510 | Fixed | 2.25% | 0.002% |
| | | 6 891 | 20 300 | Fixed | 2.50% | 0.003% |
| საფრანგეთი | EUR | 13 122 | 38 654 | Fixed | 0.17% | 0.000% |
| | | 22 272 | 65 606 | Fixed | 1.10% | 0.005% |
| | | 20 097 | 59 200 | Fixed | 1.27% | 0.005% |
| | | 37 024 | 109 063 | Fixed | 1.41% | 0.010% |
| | | 66 245 | 195 138 | EURIBOR + 0.33% | 0.37% | 0.005% |
| | | 66 245 | 195 138 | EURIBOR + 0.6% | 0.37% | 0.005% |
| | | 3 058 | 9 009 | EURIBOR + 1.8% | 1.80% | 0.001% |
| | | 4 052 | 11 936 | EURIBOR + 2.1% | 2.10% | 0.002% |
| **ფასიანი ქაღალდები** | | **500 000** | **1 472 850** | | | |
| ევროობლიგაცია 2021 | USD | 500 000 | 1 472 850 | Fixed | 6.875% | 0.663% |
| **გარანტირებული კრედიტები** | | **1 722** | **5 072** | | | |
| გერმანია (KfW) | EUR | 1 722 | 5 072 | Fixed | 0.75% | 0.000% |
| | | საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი | | | | **2.15%** |

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების ათვისებას 1,170,000.0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, ბიუჯეტის მხარდამჭერი რესურსის სახით საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) 170,000.0 ათასი ლარის, საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) 195,000.0 ათასი ლარის, ევროკავშირის მაკროფინანსური დახმარების (MFA) პროგრამის ფარგლებში ევროკავშირიდან (EU) 65,000.0 ათასი ლარის, განვითარების პოლიტიკის ოპერაციის (DPO-2019) პროგრამის ფარგლებში მსოფლიო ბანკიდან (WB) 150,000.0 ათასი ლარის და სსე-ს კორპორატიზაციისა და ენერგობაზრის რეფორმის პროგრამის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) 105,000.0 ათასი ლარის ათვისებას.

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 1,320,000

ათასი ლარი, საიდანაც 950,000 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 370,000 ათასი ლარი - პროცენტის თანხას.

**საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2020 წლისთვის (პროგნოზი)**

*ათასი ლარი*

| კრედიტორები | ვალების დაფარვა | პროცენტი | სულ 2020 |
|---|---|---|---|
| ავსტრია | 3 913.0 | 560.9 | 4 473.9 |
| კუვეიტი | 4 238.0 | 902.9 | 5 140.9 |
| იაპონია | 24 627.4 | 5 822.5 | 30 449.8 |
| გერმანია | 80 443.3 | 18 982.8 | 99 426.1 |
| აშშ | 6 999.8 | 1 167.9 | 8 167.7 |
| სომხეთი | 4 873.4 | 607.3 | 5 480.7 |
| აზერბაიჯანი | 3 575.8 | 570.0 | 4 145.7 |
| ირანი | 2 899.8 | 431.0 | 3 330.8 |
| ყაზახეთი | 13 295.6 | 6 932.3 | 20 227.9 |
| ნიდერლანდები | 719.9 | 79.5 | 799.4 |
| რუსეთი | 32 270.6 | 5 859.0 | 38 129.6 |
| თურქეთი | 6 760.7 | 1 197.3 | 7 958.1 |
| თურქმენეთი | - | 11 840.0 | 11 840.0 |
| უკრაინა | 126.3 | 7.1 | 133.4 |
| უზბეკეთი | 138.3 | 7.7 | 146.1 |
| საფრანგეთი | 63 786.2 | 4 731.8 | 68 518.0 |
| ჩინეთი | 1 332.0 | - | 1 332.0 |
| IDA | 328 722.3 | 30 060.2 | 358 782.5 |
| IBRD | 39 574.7 | 96 074.0 | 135 648.7 |
| IFAD | 4 653.0 | 1 210.4 | 5 863.4 |
| EBRD | 56 433.1 | 5 215.2 | 61 648.3 |
| EIB | 33 398.0 | 10 106.6 | 43 504.5 |
| ADB | 236 174.7 | 63 716.8 | 299 891.5 |
| IMF | - | 62.4 | 62.4 |
| EU | - | 1 328.4 | 1 328.4 |
| CEB | - | 41.2 | 41.2 |
| AIIB | - | 600.2 | 600.2 |
| NEFCO | 1 044.3 | 184.6 | 1 228.9 |
| ევრობონდები | - | 101 700.0 | 101 700.0 |
| **სულ** | **950 000.0** | **370 000.0** | **1 320 000.0** |

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა 6 და 12 თვიანი სახაზინო ვალდებულებების და 2, 5 და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისია. 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ბოლო აუქციონებზე დაფიქსირებულმა საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთებმა შეადგინა: 6 თვიანზე 6.6%, 12 თვიანზე 6.6%, 2 წლიანზე - 6.7%, 5 წლიანზე - 7.0%, 10 წლიანზე - 8.4%.

ფასიანი ქაღალდების გამოშვების შედეგად მთავრობის საშინაო ვალის ნაშთმა 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგინა 3 550.5 მლნ ლარი (ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში - 3 555.9 მლნ ლარი და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ნაშთი - 3.9 მლნ ლარი), აქედან 3 135.7 მლნ ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, ხოლო 410.8 მლნ ლარი - „ობლიგაცია სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში.

*შენიშვნა: მთავრობის საშინაო ვალის ნაშთი არ მოიცავს ე.წ. „ისტორიულ ვალს". „ისტორიული ვალის“ მოცულობა საორიენტაციოა, ვინაიდან ამ კატეგორიის უმეტესი ნაწილი დასაზუსტებელია*

**ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში ვადის და ტიპის მიხედვით და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალის ნაშთი 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით**

*ათასი ლარი*

| | |
|---|---|
| სულ | **3,559,809.0** |
| **სახაზინო ფასიანი ქაღალდები** | **3,145,018.0** |
| 6 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები | 120,000.0 |
| 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები | 480,000.0 |
| 2 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 900,000.0 |
| 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 1,212,498.0 |
| 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 432,520.0 |
| **სხვა ფასიანი ქაღალდები** | **410,846.0** |
| ობლიგაცია სებ-სთვის | 240,846.0 |
| ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის | 170,000.0 |
| **საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალის ნაშთი** | **3,945.0** |

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საშინაო ვალდებულებების მოსალოდნელ კლებას 1,440,000.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას - 1,400,000.0 ათასი ლარის ოდენობით და სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) – 40,000.0 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად.

2019 წლის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვება განხორციელდება იმ მოცულობით, რომელიც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე არსებული განაკვეთების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ბიუჯეტში შემოსულ და დაფარულ ძირითად თანხებს შორის სხვაობას არაუმეტეს 900,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

2018 წლიდან, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო ე.წ. ბენჩმარკ ბონდების გამოშვება. აღნიშნული პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, განიხილება დამატებით ახალი ინსტრუმენტის დანერგვა. რაც გულისხმობს, უკვე გამოშვებული ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ოპერაციების განხორციელებას. 2019 წლის მეოთხე კვარტლიდან დაგეგმილია ნაწილობრივი გამოსყიდვების ოპერაციების (Buyback Operations) დაწყება, რაც გავლენას მოახდენს საშინაო ვალდებულებების ძირითადი თანხის დაფარვასა და მომსახურების ხარჯზე.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით განსაზღვრული საგარეო და საშინაო ვალის პარამეტრები უზრუნველყოფენ მთავრობის ვალის მდგრადობის შენარჩუნებას საშუალო ვადიან პერიოდში

**მთავრობის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2020 წლის ბოლოსთვის**

*ათასი ლარი*

| კრედიტორი | საპროგნოზო ნაშთი 31.12.2020 |
|---|---|
| **მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი** | **16 846 435.3** |
| **მრავალმხრივი კრედიტორებისაგან** | **12 092 918.4** |
| აზიის განვითარების ბანკი (ADB) | 3 828 990.3 |
| აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) | 90 541.8 |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | 481 944.9 |
| ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) | 1 807 703.3 |
| ევროკავშირი (EU) | 192 612.9 |
| მსოფლიო ბანკი (WB) | 5 575 604.7 |
| სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) | 101 162.6 |
| ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB) | 9 093.8 |
| სკანდინავიური - გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO) | 5 264.0 |
| **ორმხრივი კრედიტორებისაგან** | **3 258 924.0** |
| სომხეთი | 16 346.1 |
| აზერბაიჯანი | 16 363.1 |
| ავსტრია | 51 902.4 |
| ჩინეთი | 2 592.6 |
| საფრანგეთი | 1 014 989.2 |
| გერმანია | 1 149 668.7 |
| ირანი | 12 259.8 |
| იაპონია | 734 411.7 |
| ყაზახეთი | 29 573.6 |
| კუვეიტი | 30 410.3 |
| ნიდერლანდები | 1 060.3 |
| რუსეთი | 120 553.7 |
| თურქეთი | 31 637.4 |
| თურქმენეთი | 629.0 |
| უკრაინა | 140.5 |
| ამერიკა | 46 232.0 |
| უზბეკეთი | 153.8 |
| **სხვა საგარეო ვალდებულებები** | **1 490 000.0** |
| ევრობონდები | 1 490 000.0 |
| **სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები** | **4 593.0** |
| გერმანია | 4 593.0 |
| **მთავრობის საშინაო ვალის ნაშთი** | **4 974 000.0** |
| ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია | 200 846.0 |
| სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის | 152 000.0 |
| ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები | 852 614.2 |
| ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები | 3 764 539.8 |
| საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალი | 4 000.0 |
| **სულ მთავრობის ვალის ნაშთი** | **21 820 435.3** |

***შენიშვნა:*** *ვალის ზღვრული მოცულობის გამოთვლისას გამოყენებულია 2019 წლის 27 სექტემბერს მოქმედი გაცვლითი კურსები: 1 USD = 2.9808 GEL; 1 EUR = 1.0927 USD; 1 SDR = 1.3643 USD; 1 CNY = 0.1403 USD; 1 JPY = 0.0093 USD; 1 KWD = 3.2873 USD.*